

No. 58568*

**Germany
and
Georgia**

Implementing Protocol between the Government of the Federal Republic of Germany and the Government of Georgia to the Agreement of 22 November 2010 between the European Union and Georgia on the readmission of persons residing without authorisation (with annex). Berlin, 4 April 2016

Entry into force: 7 July 2016, in accordance with article 13(1)

Authentic texts: Georgian and German

Registration with the Secretariat of the United Nations: Germany, 31 January 2025

**No UNTS volume number has yet been determined for this record. The Text(s) reproduced below, if attached, are the authentic texts of the agreement /action attachment as submitted for registration and publication to the Secretariat. For ease of reference they were sequentially paginated. Translations, if attached, are not final and are provided for information only.*

**Allemagne
et
Géorgie**

Protocole d'application entre le Gouvernement de la République fédérale d'Allemagne et le Gouvernement de Géorgie à l'Accord du 22 novembre 2010 entre l'Union européenne et la Géorgie concernant la réadmission des personnes en séjour irrégulier (avec annexe). Berlin, 4 avril 2016

Entrée en vigueur : 7 juillet 2016, conformément au paragraphe 1 de l'article 13

Textes authentiques : géorgien et allemand

Enregistrement au Secrétariat de l'Organisation des Nations Unies : Allemagne, 31 janvier 2025

**Aucun numéro de volume n'a encore été attribué à ce dossier. Les textes disponibles qui sont reproduits ci-dessous sont les textes originaux de l'accord ou de l'action tels que soumis pour enregistrement. Par souci de clarté, leurs pages ont été numérotées. Les traductions qui accompagnent ces textes ne sont pas définitives et sont fournies uniquement à titre d'information.*

[TEXT IN GEORGIAN – TEXTE EN GÉORGIEN]

საიმპლემენტაციო ოქმი
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა
და
საქართველოს მთავრობას
შორის
ევროკავშირსა
და
საქართველოს
შორის
უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ
2010 წლის 22 ნოემბრის
შეთანხმების
განხორციელების შესახებ

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა და
საქართველოს მთავრობა,
შემდგომში წოდებულნი როგორც “ხელშემკვრელი მხარეები” -

ვეროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ 2010 წლის 22 ნოემბრის შეთანხმების (შემდგომში წოდებული როგორც „შეთანხმება“) მე-19 მუხლის თანახმად, შეთანხმების განხორციელების გაადვილების მიზნით -

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი I
კომპეტენტური ორგანოები

(1) შეთანხმების განხორციელებისთვის კომპეტენტური ორგანოები არიან:

1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრიდან

- რეადმისიის განაცხადის, ტრანზიტთან დაკავშირებული განაცხადის და სამგზავრო დოკუმენტებთან დაკავშირებული განაცხადის წარდგენაზე

უცხოელთა შესახებ კანონმდებლობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები ან

ფედერალური პოლიციის სათაო ოფისი,

- რეადმისიის განაცხადის მიღებაზე

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება საქართველოში ან

ფედერალური პოლიციის სათაო ოფისი,

- რეადმისიის განაცხადების განხილვის და ტრანზიტთან დაკავშირებული განაცხადების მიღებისა და განხილვის, ასევე ანგარიშსწორებისათვის

ფედერალური პოლიციის სათაო ოფისი;

2. საქართველოს მხრიდან

- საქართველოს მოქალაქეების რეადმისიის განაცხადების მიღებაზე
- მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა რეადმისიის ან ტრანზიტთან დაკავშირებული განაცხადის წარდგენაზე ან მიღებაზე
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეების რეადმისიის განაცხადის წარდგენაზე
- სამგზავრო დოკუმენტების გაცემის მოთხოვნაზე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი.

- (2) შეთანხმების და ამ საიმპლემენტაციო ოქმის დებულებების განხორციელებისთვის პირველ პუნქტში დასახელებული ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოები უშუალოდ ითანამშრომლებენ ერთმანეთთან.
- (3) ამ საიმპლემენტაციო ოქმის განხორციელების მიზნით ხელშემკვრელი მხარეები ამ საიმპლემენტაციო ოქმის ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში ერთმანეთს დიპლომატიური გზით მიაწვდიან პირველ პუნქტში დასახელებული კომპეტენტური ორგანოების საკონტაქტო მონაცემებს. შემდგომში კომპეტენტური ორგანოები თავიანთი საკონტაქტო მონაცემების ნებისმიერი ცვლილების შესახებ უშუალოდ აცნობებენ ერთმანეთს წერილობით.
- (4) პირველ პუნქტში დასახელებული კომპეტენტური ორგანოების შეცვლის შემთხვევაში ხელშემკვრელი მხარეები ამის შესახებ ინფორმაციას დაუყოვნებლივ გაცვლიან დიპლომატიური გზით.

მუხლი 2

სასაზღვრო გამტარი პუნქტები

- (1) რეადმისიისათვის, ასევე სატრანზიტოდ მიღებისათვის ხელშემკვრელი მხარეები განსაზღვრავენ შემდეგ სასაზღვრო გამტარ პუნქტებს:
 1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოს ტერიტორიაზე:
 - ყველა საერთაშორისო აეროპორტი;
 2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე:
 - თბილისის საერთაშორისო აეროპორტი.

- (2) ხელშემკვრელი მხარეები დიპლომატიური გზით დაუყოვნებლივ შეატყობინებენ ერთმანეთს პირველ პუნქტში დასახელებული სასაზღვრო გამტარი პუნქტების ცვლილების შესახებ.

მუხლი 3

მოქალაქეობის *prima facie* მტკიცებულებები

- (1) ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურმა ორგანოებმა მოქალაქეობის *prima facie* მტკიცებულებად შეთანხმების მე-2 (1) მუხლის, მე-4 (1) მუხლის, მე-8 (2) მუხლის და მე-2 დანართის თანახმად შეიძლება წარადგინონ თითის ანაბეჭდებიც და შესაბამის შემთხვევებში სხვა ბიომეტრიული მონაცემები. ხელშემკვრელი მხარეები მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეობას დამაჯერებლად მიიჩნევენ, თუ ამ საფუძველზე და ოფიციალურ რეესტრში გადამოწმების შედეგად გაირკვევა, რომ პირი მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის მოქალაქედ არის რეგისტრირებული.
- (2) თუ შეთანხმების მე-8 (3) მუხლსა და ამ საიმპლემენტაციო ოქმის მე-4 მუხლში აღნიშნული გასაუბრების შედეგად დადასტურდება რეადმისიას დაქვემდებარებული პირის მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეობა, ხელშემკვრელი მხარეები ცნობენ ამ შედეგს მოქალაქეობის *prima facie* მტკიცებულებად.

მუხლი 4

გასაუბრებები

- (1) შეთანხმების მე-8 (3) მუხლში აღნიშნული გასაუბრებები შეთანხმების მე-5 დანართის შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში მაშინაც უნდა ჩატარდეს, თუ მანამდე შეთანხმების მე-7 მუხლის შესაბამისი რეადმისიის განაცხადის საფუძველზე ვერ დადგინდა რეადმისიას დაქვემდებარებული პირის მოქალაქეობა და რეადმისიის განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარი ითქვა.
- (2) გასაუბრება შეთანხმების მე-5 დანართის შესაბამისი განაცხადის საფუძველზე ხელახლა უნდა ჩატარდეს, თუ მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს გააჩნია ახალი მინიშნებები, რომლებიც რეადმისიას დაქვემდებარებული პირის მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეობაზე მიუთითებენ.
- (3) მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება შეთანხმების მე-8 (3) მუხლში აღნიშნულ გასაუბრებას, როგორც წესი, ატარებს თავის შენობაში.

ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია გასაუბრებისთვის სხვა ადგილის შეთანხმება.

- (4) თუ გასაუბრებას მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების უფლებამოსილი წარმომადგენელი ატარებს, მასში მონაწილეობის მიღება მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოს წარმომადგენელსაც შეუძლია. გასაუბრების შედეგები ეცნობება მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს გასაუბრების ჩატარებიდან თორმეტი (12) კალენდარული დღის განმავლობაში.
- (5) გასაუბრების შედეგის შეტყობინებისათვის შესაძლებელია კომუნიკაციის ყველანაირი საშუალების გამოყენება, ელექტრონული საშუალებების ჩათვლით, განსაკუთრებით კი ფაქსის, ელექტრონული ფოსტის ან რეადმისიის საქმეთა მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენება. გადამცემმა უწყებებმა უნდა მიიღონ აუცილებელი და ჯეროვანი ტექნიკური და საორგანიზაციო ზომები, რათა უზრუნველყონ დასამუშავებელი მონაცემების განკარგვადობა, მთლიანობა, აუთენტურობა და კონფიდენციალურობა არსებული ტექნიკური სტანდარტების შესაბამისად.
- (6) თუ მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის მიერ მოთხოვნილი გასაუბრება ფაქტობრივი მიზეზების გამო ვერ ჩატარდა შეთანხმების მე-8 (3) მუხლში დასახელებულ ვადებში, მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარე რეადმისიის განაცხადის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ გასაუბრების შემდეგ.

მუხლი 5
რეადმისიის განაცხადი

- (1) მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანო რეადმისიის განაცხადს წარუდგენს მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმების მე-10 (1) მუხლში დასახელებულ ვადაში. მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარე უდასტურებს მოთხოვნის წარმდგენ ხელშემკვრელ მხარეს რეადმისიის განაცხადის მიღებას.
- (2) მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარე რეადმისიის განაცხადს თან ურთავს შეთანხმების 1-4 დანართებში დასახელებული დოკუმენტების ასლებს, ასეთების არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე შევსებულ სტანდარტულ ფორმას - „European Fingerprints Standard“, რეადმისიას დაქვემდებარებული პირის თითის ანაბეჭდების და ფოტოსურათის ჩათვლით, თუ დანართ 1-ში დასახელებული დოკუმენტები არ იქნა წარმოდგენილი.

- (3) მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარე განაცხადს პასუხობს შეთანხმების მე-10 (2) მუხლით დადგენილ ვადაში.
- (4) რეადმისიის განაცხადის წარდგენის, მისი მიღების დადასტურების და მასზე პასუხისათვის შესამღებელია კომუნიკაციის ყველანაირი საშუალების გამოყენება, ელექტრონული საშუალებების ჩათვლით, განსაკუთრებით კი ფაქსის, ელექტრონული ფოსტის ან რეადმისიის საქმეთა მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენება. გადამცემა უწყებებმა უნდა მიიღონ აუცილებელი და ჯეროვანი ტექნიკური და საორგანიზაციო ზომები, რათა უზრუნველყონ დასამუშავებელი მონაცემების განკარგავადობა, მთლიანობა, აუთენტურობა და კონფიდენციალურობა არსებული ტექნიკური სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 6
რეადმისიის პროცედურა

- (1) მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარე შეთანხმების მე-11 (1) მუხლში მითითებულ ვადებში წერილობით ატყობინებს მოთხოვნის მიმღებ ხელშემკვრელ მხარეს დაგეგმილი რეადმისიის შესახებ ამ საიმპლემენტაციო ოქმის დანართში მოცემული ფორმის გამოყენებით, მე-5 (4) მუხლში დასახელებული კომუნიკაციის საშუალებებით.
- (2) იმ შემთხვევებში, როდესაც სამართლებრივი ან ფაქტობრივი დაბრკოლებების გამო გადაცემის დაგეგმილი თარიღის დაცვა ვერ ხერხდება, ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოები დაუყოვნებლივ აცნობებენ ერთმანეთს ამ დაბრკოლებების შესახებ. მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია, ხელახლა წარადგინოს რეადმისიის შესახებ შეტყობინება პირველი პუნქტის შესაბამისად.
- (3) შეთანხმების მე-11 (2) მუხლის შეუზღუდავად, ხელშემკვრელი მხარეები მიისწრაფვიან რეადმისიის და ტრანზიტის საპერო გზით განხორციელებისკენ.
- (4) შეთანხმების მე-12 მუხლის შესაბამისად შეცდომით განხორციელებული რეადმისიის შემთხვევაში, მოთხოვნის მიმღებმა ხელშემკვრელმა მხარემ მისთვის გადაცემული ყველა დოკუმენტი უნდა დაუბრუნოს მოთხოვნის წარმდგენ ხელშემკვრელ მხარეს. თუ მონაცემების და საბუთების გადაცემა განხორციელდა ელექტრონული გზით, მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია, დაუყოვნებლივ წაშალოს ისინი.

მუხლი 7
ტრანზიტთან დაკავშირებული განაცხადი და სატრანზიტო პროცედურა

(1) ტრანზიტთან დაკავშირებული განაცხადის წარდგენა შეთანხმების მე-14 მუხლის შესაბამისად ხორციელდება შეთანხმების მე-6 დანართად თანდართული ფორმის მეშვეობით. მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანო მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს წერილობით გადასცემს ფორმას დაგეგმილ სატრანზიტო ოპერაციამდე არაუგვიანეს თხუთმეტი (15) კალენდარული დღით ადრე, ხოლო საჰაერო სატრანზიტო ოპერაციების შემთხვევაში, არაუგვიანეს ხუთი (5) კალენდარული დღით ადრე.

(2) შეთანხმების მე-14 (1) მუხლში დასახელებული მონაცემების გარდა, ტრანზიტთან დაკავშირებული განაცხადი შეიცავს შემდეგ დამატებით მონაცემებს:

1. მონაცემებს განსაკუთრებული მზრუნველობის ან აუცილებელი მოვლის შესახებ,
2. მონაცემებს შესაძლო საჭირო უსაფრთხოებისა და დაცვის ზომების შესახებ.

ეს მონაცემები შეტანილი უნდა იქნეს შეთანხმების მე-6 დანართად თანდართული ფორმის C ნაწილში.

(3) მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის პასუხი ტრანზიტთან დაკავშირებულ განაცხადზე შეთანხმების მე-14 (2) მუხლის შესაბამისად ასევე შეიცავს მითითებას ტრანსპორტირების ფორმისა და ესკორტზე თანხმობის ან უარის შესახებ. პასუხი უნდა გაიგზავნოს წერილობით შეთანხმების მე-14 (2) მუხლში მითითებულ ვადებში.

(4) თუ მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარე საჭიროდ მიიჩნევს მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის დახმარებას სატრანზიტო ოპერაციის განხორციელების დროს, მაშინ ეს უნდა აღინიშნოს შეთანხმების მე-6 დანართად თანდართული ფორმის C ნაწილში. მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანო ტრანზიტთან დაკავშირებულ განაცხადზე თავის პასუხში მიუთითებს, შეასრულებს თუ არა ის ამ მოთხოვნას.

(5) საჰაერო გზით განხორციელებული სატრანზიტო ოპერაციის ფარგლებში მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანო საჭირო დახმარებას აღმოუჩენს მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს თვითმფრინავის დაშვებიდან და თვითმფრინავის კარების გაღების მომენტიდან მისი გამგზავრების უზრუნველყოფამდე.

(6) ტრანზიტთან დაკავშირებული განაცხადის წარდგენის, მისი მიღების დადასტურების და მასზე პასუხისათვის შესაძლებელია მე-5 (4) მუხლში

დასახელებული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება. გადამცემმა უწყებებმა უნდა მიიღონ აუცილებელი და ჯეროვანი ტექნიკური და საორგანიზაციო ზომები, რათა უზრუნველყონ დასამუშავებელი მონაცემების განკარგვადობა, მთლიანობა, აუთენტურობა და კონფიდენციალურობა არსებული ტექნიკური სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 8
ესკორტი

შეთანხმების მე-19 (1b) მუხლის შესაბამისად ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან თავიანთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ესკორტირებული დაბრუნების ან ტრანზიტის შემდეგ პირობებზე:

- (1) მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის თანხმლები პერსონალი რეადმისიას ან ტრანზიტს დაქვემდებარებული პირების დაბრუნებაზე ან ესკორტზე და დანიშნულების ქვეყნის კომპეტენტური ორგანოებისთვის მათ გადაცემაზე პასუხს აგებს დანიშნულების ქვეყნის სასაზღვრო გამტარ პუნქტამდე.
- (2) მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის თანხმლები პერსონალი სამსახურეობრივ მოვალეობებს ასრულებს შეუიარაღებლად და სამოქალაქო ტანსაცმელში.
- (3) მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის თანხმლები პერსონალი უნდა ფლობდეს დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის მიერ გაცემულ რეადმისიის ან ტრანზიტის ნებართვას. გარდა ამისა, თანხმლები პერსონალი ვალდებულია, თან იქონიოს როგორც საკუთარი, ისე რეადმისიას ან ტრანზიტს დაქვემდებარებული პირის ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეიცავდეს სხვა სატრანზიტო ქვეყნებში ან დანიშნულების ქვეყანაში მგზავრობის გაგრძელებისთვის აუცილებელ მოქმედ ვიზებს. მეორე წინადადება ძალაშია იმ შემთხვევაშიც, თუ შეთანხმების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად რეადმისიის განაცხადის წარდგენა არ არის სავალდებულო ან თუ ნებართვა გაცემულად ითვლება.
- (4) მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის თანხმლები პერსონალი ვალდებულია, დაიცვას მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, მისი უფლებამოსილებები კი სატრანზიტო ან საესკორტო ოპერაციებისას აუცილებელი მოგერიებით შემოიფარგლება. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფო მოსამსახურეები, რომლებიც უფლებამოსილი არიან, აღმოუჩინონ თანხმლებ პერსონალს აუცილებელი

დაცვა და დახმარება, მიუწვდომელი არიან ან მათ დახმარება ესაჭიროებათ, მაშინ მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის თანმხლები პერსონალი უშუალო მოახლოებული საფრთხის შემთხვევაში ასევე უფლებამოსილია, მოახდინოს ჯეროვანი და თანაზომიერი რეაგირება იმისთვის, რომ რეადმისიას ან ტრანზიტს დაქვემდებარებულ პირს ხელი შეუშალოს გაქცევაში, საკუთარი თავის, სხვა პირების ან მატერიალური ქონების დაზიანებაში.

- (5) მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის თანმხლებ პერსონალს არ აქვს უფლება, დატოვოს გადაცემის ადგილი რეადმისიას ან ტრანზიტს დაქვემდებარებული პირის გადაცემაზე.

მუხლი 9
ხარჯები

- (1) ხარჯებს, რომლებსაც მოთხოვნის მიმღები ხელშემკვრელი მხარე რეადმისიასთან ან ტრანზიტთან დაკავშირებით გაიღებს და რომლებიც შეთანხმების მე-15 მუხლის შესაბამისად მოთხოვნის წარმდგენმა ხელშემკვრელმა მხარემ უნდა აანაზღაუროს, გასაუბრების ადგილამდე ტრანსპორტირების ხარჯების ჩათვლით მე-4 (3) მუხლის შესაბამისად, თუ ეს მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოხდება, მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარე აანაზღაურებს ევროში ხარჯების დამადასტურებელი საბუთების მიღების დღიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში.
- (2) შეთანხმების მე-12 მუხლის შესაბამისად შეცდომით განხორციელებული რეადმისიის შემთხვევაში, მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვრელი მხარე მოთხოვნის მიმღებ ხელშემკვრელ მხარეს ასევე აუნაზღაურებს უკან დაბრუნებისთვის აუცილებელ ხარჯებს.

მუხლი 10
პერსონალური მონაცემები

პერსონალური მონაცემების შეგროვება და გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის და შეთანხმების მე-16 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11
ექსპერტთა კონსულტაციები

- (1) ამ საიმპლემენტაციო ოქმის განხორციელების ცალკეული საკითხები ხელშემკვრელ მხარეებს შორის საექსპერტო დონეზე დარეგულირდება.

თითოეულ ხელშემკვერელ მხარეს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია მიმართოს კონსულტაციებს ამ საიმპლემენტაციო ოქმის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

- (2) თუ ექსპერტთა დონეზე ვერ მოხერხდება ურთიერთშეთანხმების მიღწევა, კონსულტაციები გაიმართება სამინისტროების დონეზე. ამ კონსულტაციებისთვის კომპეტენტური პირები არიან გერმანიის ხელშემკვერელი მხრიდან – შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს წარმომადგენელი, ხოლო საქართველოს ხელშემკვერელი მხრიდან – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

მუხლი 12

საპროცედურო ენა

- (1) ამ საიმპლემენტაციო ოქმის დებულებების განსახორციელებლად ყველა დოკუმენტი, რომელიც მე-5 მუხლში, ასევე შეთანხმების III და IV ნაწილშია დასახელებული, შედგენილი იქნება შემდეგნაირად:
- გერმანული ხელშემკვერელი მხარის მიერ - გერმანულ ენაზე, თანდართული ქართული ან ინგლისური თარგმანით, ან ინგლისურ ენაზე.
 - ქართული ხელშემკვერელი მხარის მიერ - ქართულ ენაზე, თანდართული გერმანული ან ინგლისური თარგმანით, ან ინგლისურ ენაზე.
- (2) ხელშემკვერელი მხარეების კომპეტენტურ ორგანოებს შორის ამ საიმპლემენტაციო ოქმის განხორციელების შესახებ კონსულტაციები გაიმართება ინგლისურ ენაზე, თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვაგვარად არ შეთანხმდება.

მუხლი 13

ძალაში შესვლა და მოქმედების შეწყვეტა

- (1) ხელშემკვერელი მხარეები დიპლომატიური არხებით ნოტების გაცვლის გზით შეატყობინებენ ერთმანეთს ამ საიმპლემენტაციო ოქმის ძალაში შესვლისთვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ. ეს საიმპლემენტაციო ოქმი ძალაში შედის შეთანხმების მე-18 მუხლში დასახელებული რეადმისიის ერთობლივი კომიტეტის მიერ შეთანხმების მე-19 (2) მუხლის შესაბამისად შეტყობინების მიღებიდან სამი დღის შემდეგ.

- (2) ხელშემკვრელი მხარეებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ ამ საიმპლემენტაციო ოქმში ცვლილებების და დამატებების შეტანა. ისინი ძალაში შევა პირველ პუნქტში დასახელებული პროცედურის შესაბამისად.
- (3) ეს საიმპლემენტაციო ოქმი წყვეტს მოქმედებას შეთანხმებასთან ერთად.
- (4) ამ საიმპლემენტაციო ოქმის მოქმედების შეწყვეტა შესაძლებელია დიპლომატიური გზით ნებისმიერ დროს მნიშვნელოვანი მიზეზის გამო. მოქმედების შეწყვეტა ძალაში შედის მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ შეტყობინების მიღებიდან ოთხმოცდამეათე (90) დღეს.

შესრულებულია ჭეჭინი, 04.04.2016, ორ დედნად, თითოეული გერმანულ და ქართულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა გააჩნია.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სახელით

საქართველოს მთავრობის სახელით

Michael Koch
V. M. / M. M.

ქართული ხელმოწერა

დანართი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ 2010 წლის 22 ნოემბრის შეთანხმების განხორციელების შესახებ საიმპლემენტაციო ოქმზე

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური გერბი

საქართველოს სახელმწიფო გერბი

მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვერელი მხარის კომპეტენტური ორგანოს დასახელება

(ადგილი და თარიღი)

საქმის ნომერი

ადრესატი:

.....
.....
.....

(მოთხოვნის მიმღები ხელშემკვერელი მხარის კომპეტენტური ორგანოს დასახელება)

რეადმისიის შეტყობინების ფორმულარი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ 2010 წლის 22 ნოემბრის შეთანხმების განხორციელების შესახებ საიმპლემენტაციო ოქმის მე-6 მუხლის მიხედვით.

ინფორმაცია პიროვნებისა და ტრანსპორტირების შესახებ

1. გვარი და სახელი (გთხოვთ გვარს ხაზი გაუსვათ):

.....

2. დაბადების თარიღი:

.....

3. სამგზავრო დოკუმენტი, გთხოვთ ზუსტად მიუთითოთ:

ნომერი: ძალაშია დან მდე (დღე/თვე/წელი)

4. სატრანსპორტო საშუალება (თვითმფრინავი):
.....

5. გადაცემის თარიღი:
.....

6. გადაცემის დრო:
.....

7. გადაცემის ადგილი (საზღვრის გადაკვეთის ადგილი):
.....

8. მონაცემები განსაკუთრებული მოვლის საჭიროების ან აუცილებელი მზრუნველობის შესახებ:
.....

9. ესკორტირებული რეადმისია დიახ არა
თუ დიახ, გთხოვთ მიუთითოთ ზუსტი მონაცემები თანმხლები პერსონალის შესახებ
.....
.....

10. ინფორმაცია გადაცემის ადგილზე უსაფრთხოების ან დაცვის ზომების ორგანიზების საჭიროების შესახებ:
.....
.....

.....
(მოთხოვნის წარმდგენი ხელშემკვერელი მხარის კომპეტენტური ორგანოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა)
(გერბი, ბეჭედი)

[TEXT IN GERMAN – TEXTE EN ALLEMAND]

Durchführungsprotokoll

zwischen

der Regierung der Bundesrepublik Deutschland

und

der Regierung von Georgien

zur Umsetzung

des Abkommens vom 22. November 2010

zwischen

der Europäischen Union

und

Georgien

über die Rückübernahme von Personen mit unbefugtem Aufenthalt

Die Regierung der Bundesrepublik Deutschland
und
die Regierung von Georgien,
nachstehend „Vertragsparteien“ genannt -

sind nach Artikel 19 des am 22. November 2010 zwischen der Europäischen Union und Georgien unterzeichneten Abkommens über die Rückübernahme von Personen mit unbefugtem Aufenthalt, nachstehend „Abkommen“ genannt, mit dem Ziel, die Umsetzung des Abkommens zu erleichtern -

wie folgt übereingekommen:

Artikel 1
Zuständige Behörden

(1) Für die Durchführung des Abkommens zuständige Behörden sind:

1. für die Bundesrepublik Deutschland

– für das Stellen von Rückübernahmeersuchen und Durchbeförderungersuchen sowie die Beantragung von Reisedokumenten

die für die Ausführung des Ausländerrechts zuständigen Stellen oder

das Bundespolizeipräsidium,

– für die Annahme von Rückübernahmeersuchen

die diplomatische oder konsularische Vertretung der Bundesrepublik Deutschland in Georgien oder

das Bundespolizeipräsidium,

– für die Bearbeitung von Rückübernahmeersuchen und die Annahme und Bearbeitung von Durchbeförderungsersuchen sowie für die Abrechnung der Kosten

das Bundespolizeipräsidium;

2. für Georgien

– für die Annahme von Rückübernahmeersuchen für Staatsangehörige von Georgien,

– für die Annahme und das Stellen von Ersuchen zur Rückübernahme und zur Durchbeförderung für Drittstaatsangehörige und Staatenlose,

– für das Stellen von Rückübernahmeersuchen für Staatsangehörige der Bundesrepublik Deutschland,

– für die Beantragung von Reisedokumenten

die Abteilung für Migration des Ministeriums für Innere Angelegenheiten von Georgien.

(2) Zur Umsetzung der Bestimmungen des Abkommens und dieses Durchführungsprotokolls werden die unter Absatz 1 genannten zuständigen Behörden der Vertragsparteien unmittelbar zusammenarbeiten.

(3) Zum Zwecke der Umsetzung dieses Durchführungsprotokolls teilen die Vertragsparteien einander innerhalb von 30 Kalendertagen nach dem Tag der Unterzeichnung dieses Durchführungsprotokolls auf diplomatischem Wege ihre Kontaktdaten der in Absatz 1 genannten zuständigen Behörden mit. Im Weiteren werden die zuständigen Behörden einander über jegliche Änderung ihrer Kontaktdaten unmittelbar schriftlich unterrichten.

(4) Im Falle einer Änderung der in Absatz 1 genannten zuständigen Behörden informieren beide Vertragsparteien einander hierüber unverzüglich auf diplomatischem Wege.

Artikel 2 Grenzübergangsstellen

(1) Für die Rückübernahme sowie die Aufnahme zur Durchbeförderung legen die Vertragsparteien folgende Grenzübergangsstellen fest:

1. auf dem Hoheitsgebiet der Bundesrepublik Deutschland

alle internationalen Flughäfen;

2. auf dem Hoheitsgebiet von Georgien

der internationale Flughafen Tiflis.

(2) Die Vertragsparteien informieren einander auf diplomatischem Wege unverzüglich über Änderungen hinsichtlich der in Absatz 1 aufgeführten Grenzübergangsstellen.

Artikel 3

Anscheinsbeweis für die Staatsangehörigkeit

(1) Die Vertragsparteien vereinbaren, dass die zuständigen Behörden der ersuchenden Vertragspartei als Anscheinsbeweis für die Staatsangehörigkeit in Übereinstimmung mit Artikel 2 Absatz 1, Artikel 4 Absatz 1, Artikel 8 Absatz 2 und Anhang 2 des Abkommens auch Fingerabdrücke und gegebenenfalls sonstige biometrische Daten vorlegen können. Die Vertragsparteien betrachten die Staatsangehörigkeit der ersuchten Vertragspartei als glaubhaft gemacht, wenn sich aufgrund dessen und einer Überprüfung im amtlichen Register ergibt, dass die Person als Staatsangehöriger der ersuchten Vertragspartei eingetragen worden ist.

(2) Bestätigt eine Befragung der rückzuübernehmenden Person im Sinne des Artikels 8 Absatz 3 des Abkommens und des Artikels 4 dieses Durchführungsprotokolls die Staatsangehörigkeit der ersuchten Vertragspartei, erkennen die Vertragsparteien dieses Ergebnis als Anscheinsbeweis für die Staatsangehörigkeit an.

Artikel 4

Befragungen

(1) Die in Artikel 8 Absatz 3 des Abkommens genannten Befragungen sind auf ein Ersuchen nach Anhang 5 des Abkommens auch dann durchzuführen, wenn zuvor aufgrund eines Rückübernahmeantrags nach Artikel 7 des Abkommens die Staatsangehörigkeit der

rückzuübernehmenden Person nicht festgestellt werden konnte und der Rückübernahmeantrag abgelehnt worden ist.

(2) Die Befragung ist auf ein Ersuchen nach Anhang 5 des Abkommens erneut durchzuführen, wenn der zuständigen Behörde der ersuchenden Vertragspartei zu der rückzuübernehmenden Person neue Hinweise vorliegen, die auf die Staatsangehörigkeit des Staates der ersuchten Vertragspartei hindeuten.

(3) Die zuständige diplomatische oder konsularische Vertretung der ersuchten Vertragspartei führt die Befragung nach Artikel 8 Absatz 3 des Abkommens in der Regel in ihren Räumen durch. In gegenseitigem Einvernehmen kann auch ein anderer Ort für die Befragung vereinbart werden.

(4) Sofern die zuständige diplomatische oder konsularische Vertretung der ersuchten Vertragspartei die Befragung durchführt, kann ein Vertreter der zuständigen Behörde der ersuchenden Vertragspartei teilnehmen. Das Ergebnis einer Befragung ist der zuständigen Behörde der ersuchenden Vertragspartei innerhalb von zwölf (12) Kalendertagen nach Durchführung der Befragung mitzuteilen.

(5) Für die Übermittlung des Befragungsergebnisses können alle Arten von Kommunikationsmitteln, einschließlich elektronischer Mittel, insbesondere Fax, E-Mail oder das elektronische System für die Verwaltung von Rückführungsangelegenheiten, verwendet werden. Die übermittelnde Stelle trifft die technischen und organisatorischen Maßnahmen, die erforderlich sind, um die Verfügbarkeit, Integrität, Authentizität und Vertraulichkeit der zu übermittelnden Daten entsprechend dem jeweiligen Stand der Technik sicherzustellen.

(6) Wurde die von der ersuchenden Vertragspartei erbetene Befragung der rückzuführenden Person aus sachlichen Gründen nicht innerhalb der in Artikel 8 Absatz 3 des Abkommens genannten Frist durchgeführt, entscheidet die ersuchte Vertragspartei über das Ersuchen auf Rückübernahme erst nach Durchführung der Befragung.

Artikel 5
Rückübernahmeantrag

(1) Die zuständige Behörde der ersuchenden Vertragspartei übermittelt den Rückübernahmeantrag innerhalb der in Artikel 10 Absatz 1 des Abkommens genannten Frist an die zuständige Behörde der ersuchten Vertragspartei. Die ersuchte Vertragspartei bestätigt der ersuchenden Vertragspartei den Eingang des Rückübernahmeantrags.

(2) Die ersuchende Vertragspartei fügt dem Rückübernahmeantrag, soweit vorhanden, die in den Anhängen 1 bis 4 des Abkommens genannten Dokumente in Kopie sowie für den Fall, dass keine Dokumente nach Anhang 1 vorliegen, das ausgefüllte Standardformular „European Fingerprints Standard“ einschließlich der Fingerabdrücke und des Lichtbilds der Person, für die der Antrag gestellt wird, bei.

(3) Die ersuchte Vertragspartei beantwortet den Antrag innerhalb der in Artikel 10 Absatz 2 des Abkommens festgelegten Fristen.

(4) Für die Übermittlung des Rückübernahmeantrags, der Bestätigung seines Eingangs und seiner Beantwortung können alle Arten von Kommunikationsmitteln, einschließlich elektronischer Mittel, insbesondere Fax, E-Mail oder das elektronische System für die Verwaltung von Rückführungsangelegenheiten, verwendet werden. Die übermittelnden Stellen haben die erforderlichen und angemessenen technischen und organisatorischen Maßnahmen zu treffen, um die Verfügbarkeit, Integrität, Authentizität und Vertraulichkeit der zu verarbeitenden Daten entsprechend dem jeweiligen Stand der Technik sicherzustellen.

Artikel 6

Rückübernahmeverfahren

(1) Die ersuchende Vertragspartei benachrichtigt die ersuchte Vertragspartei innerhalb der in Artikel 11 Absatz 1 des Abkommens genannten Frist schriftlich unter Verwendung des im Anhang zu diesem Durchführungsprotokoll enthaltenen Formulars mittels der in Artikel 5 Absatz 4 genannten Kommunikationsmittel von der geplanten Rückführung.

(2) Kann der angekündigte Termin der Überstellung aufgrund von rechtlichen oder tatsächlichen Hindernissen nicht eingehalten werden, so unterrichten sich die zuständigen Behörden der Vertragsparteien unverzüglich von dem Hindernis. Die ersuchende Vertragspartei ist verpflichtet, ihre Rückübernahmeankündigung nach Absatz 1 zu erneuern.

(3) Unbeschadet Artikel 11 Absatz 2 des Abkommens sind die Vertragsparteien bestrebt, die Rückübernahme oder Durchbeförderung auf dem Luftweg durchzuführen.

(4) Im Falle einer irrtümlichen Rückübernahme nach Artikel 12 des Abkommens werden alle an die ersuchte Vertragspartei übermittelten Dokumente durch diese an die ersuchende Vertragspartei zurückgegeben. Ist die Übermittlung von Daten oder Dokumenten auf elektronischem Wege erfolgt, sind diese bei der ersuchten Vertragspartei sofort zu löschen.

Artikel 7

Durchbeförderungsersuchen und Durchbeförderungsverfahren

(1) Durchbeförderungsanträge nach Artikel 14 des Abkommens werden mittels des Formulars in Anhang 6 des Abkommens gestellt. Die zuständige Behörde der ersuchenden Vertragspartei übermittelt das Formular spätestens fünfzehn (15) Kalendertage und für Durchbeförderungen auf dem Luftweg spätestens fünf (5) Kalendertage vor der geplanten

Durchbeförderung schriftlich der zuständigen Behörde der ersuchten Vertragspartei.

(2) Neben den in Artikel 14 Absatz 1 des Abkommens genannten Angaben enthält das Durchbeförderungsersuchen folgende zusätzliche Angaben:

1. Angaben über besondere Pflegebedürfnisse oder erforderliche Betreuung,
2. Angaben über eventuell erforderliche Sicherheits- oder Schutzmaßnahmen.

Die Angaben werden in Abschnitt C des Formulars in Anhang 6 des Abkommens eingetragen.

(3) Die Antwort der ersuchten Vertragspartei auf einen Durchbeförderungsantrag nach Artikel 14 Absatz 2 des Abkommens enthält zudem eine Erklärung über die Zustimmung oder Ablehnung der Art der Beförderung und des Einsatzes von Begleitpersonal. Die Antwort ist schriftlich innerhalb der in Artikel 14 Absatz 2 des Abkommens genannten Frist zu übermitteln.

(4) Sollte die ersuchende Vertragspartei die Unterstützung der ersuchten Vertragspartei bei der Durchbeförderung als notwendig erachten, ist dies in dem in Anhang 6 des Abkommens aufgeführten Formular in Abschnitt C zu vermerken. Die zuständige Behörde der ersuchten Vertragspartei erklärt in ihrer Antwort auf den Durchbeförderungsantrag, ob sie dieser Bitte entspricht.

(5) Im Rahmen der Durchbeförderung auf dem Luftweg wird die zuständige Behörde der ersuchten Vertragspartei der ersuchenden Vertragspartei von der Landung und der Öffnung der Flugzeuggtüren bis zur Sicherung der Ausreise die erforderliche Unterstützung gewährleisten.

(6) Für die Übermittlung des Durchbeförderungsantrags, der Bestätigung seines Eingangs und seiner Beantwortung können die in Artikel 5 Absatz 4 genannten Kommunikationsmittel verwendet werden. Die übermittelnden Stellen haben die erforderlichen und angemessenen technischen und organisatorischen Maßnahmen zu treffen, um die Verfügbarkeit, Integrität, Authentizität und Vertraulichkeit der zu verarbeitenden Daten entsprechend dem jeweiligen Stand der Technik sicherzustellen.

Artikel 8

Begleitung

Nach Artikel 19 Absatz 1 Buchstabe b des Abkommens vereinbaren die Vertragsparteien folgende Bedingungen für die begleitete Überstellung oder Durchbeförderung auf ihrem Hoheitsgebiet:

(1) Das Begleitpersonal der ersuchenden Vertragspartei ist für die Begleitung rückzuführender oder durchzubefördernder Personen und deren Überstellung an die zuständige Behörde des Bestimmungslandes bis zur Grenzübergangsstelle des Bestimmungslandes verantwortlich.

(2) Das Begleitpersonal der ersuchenden Vertragspartei verrichtet seine Dienstpflichten unbewaffnet und in Zivilkleidung.

(3) Das Begleitpersonal der ersuchenden Vertragspartei muss in Besitz von Dokumenten sein, die die Genehmigung der Rückübernahme oder der Durchbeförderung durch die ersuchte Vertragspartei nachweisen. Es ist zudem verpflichtet, amtliche Ausweisdokumente sowohl für sich als auch für die rückzuführende oder durchzubefördernde Person mitzuführen, die die erforderlichenfalls notwendigen gültigen Visa für die Weiterreise in andere Durchgangsstaaten oder das Bestimmungsland enthalten müssen. Satz 2 gilt auch für den

Fall, dass ein Rückübernahmeantrag im Sinne des Artikels 6 Absatz 2 des Abkommens nicht erforderlich ist oder die Genehmigung als erteilt gilt.

(4) Das Begleitpersonal der ersuchenden Vertragspartei ist verpflichtet, die auf dem Hoheitsgebiet der ersuchten Vertragspartei geltenden gesetzlichen Bestimmungen einzuhalten und ist in seinen Befugnissen bei der Begleitung oder Durchbeförderung auf Notwehr beschränkt. Sind aber Bedienstete der ersuchten Vertragspartei, die befugt sind, dem Begleitpersonal den erforderlichen Schutz und Beistand zu leisten, nicht erreichbar oder bedürfen diese der Unterstützung, ist das Begleitpersonal der ersuchenden Vertragspartei bei unmittelbar bevorstehender Gefahr darüber hinaus befugt, angemessen und verhältnismäßig zu reagieren, um die rückzuführende oder durchzubefördernde Person an der Flucht zu hindern oder zu verhindern, dass sie sich selbst oder andere Personen verletzt oder Sachbeschädigung verübt.

(5) Das Begleitpersonal der ersuchenden Vertragspartei ist nicht befugt, den Ort der Überstellung vor der Übergabe der rückzuführenden oder durchzubefördernden Person zu verlassen.

Artikel 9

Kosten

(1) Die Kosten, die der ersuchten Vertragspartei im Zusammenhang mit der Rückübernahme oder Durchbeförderung entstehen und die nach Artikel 15 des Abkommens von der ersuchenden Vertragspartei zu tragen sind, einschließlich der Kosten für die Beförderung zur Befragung nach Artikel 4 Absatz 3, soweit diese auf dem Hoheitsgebiet der ersuchenden Vertragspartei stattfindet, werden von der ersuchenden Vertragspartei innerhalb von dreißig (30) Kalendertagen nach Erhalt der Kostennachweise in Euro erstattet.

(2) Im Falle einer irrtümlichen Rückübernahme nach Artikel 12 des Abkommens erstattet die ersuchende Vertragspartei der ersuchten Vertragspartei auch die erforderlichen Kosten der Rückreise.

Artikel 10
Personenbezogene Daten

Personenbezogene Daten dürfen nur nach Maßgabe des jeweils geltenden innerstaatlichen Rechts und nach Artikel 16 des Abkommens erhoben und verwendet werden.

Artikel 11
Expertengespräche

(1) Einzelheiten zur Durchführung dieses Durchführungsprotokolls werden zwischen den Vertragsparteien auf Expertenebene geregelt. Jede Vertragspartei kann bei Bedarf zu Gesprächen über Fragen zur Anwendung dieses Durchführungsprotokolls einladen.

(2) Ist die Einigung auf Expertenebene nicht möglich, so werden die Konsultationen auf der Ebene der Ministerien stattfinden. Für die Konsultationen sind für die deutsche Vertragspartei der Vertreter des Bundesministeriums des Innern und für die georgische Vertragspartei der Vertreter des Ministeriums für Innere Angelegenheiten von Georgien zuständig.

Artikel 12
Verfahrenssprache

(1) Zur Umsetzung der Bestimmungen dieses Durchführungsprotokolls werden alle Unterlagen, die in Artikel 5 sowie den Abschnitten III und IV des Abkommens genannt werden, wie folgt verfasst:

- durch die deutsche Vertragspartei - in deutscher Sprache mit einer beigefügten georgischen oder englischen Übersetzung oder in englischer Sprache;
- durch die georgische Vertragspartei - in georgischer Sprache mit einer beigefügten deutschen oder englischen Übersetzung oder in englischer Sprache.

(2) Konsultationen zwischen den zuständigen Behörden der Vertragsparteien hinsichtlich der Durchführung dieses Durchführungsprotokolls werden in englischer Sprache geführt, sofern im konkreten Einzelfall nichts anderes vereinbart wurde.

Artikel 13
Inkrafttreten und Kündigung

(1) Die Vertragsparteien notifizieren einander auf diplomatischem Wege das Vorliegen der innerstaatlichen Voraussetzungen für das Inkrafttreten dieses Durchführungsprotokolls. Dieses Durchführungsprotokoll tritt 3 Tage nach dem Tag des Eingangs der Notifikation nach Artikel 19 Absatz 2 des Abkommens bei dem in Artikel 18 des Abkommens genannten Gemischten Rückübernahmeausschuss in Kraft.

(2) Die Vertragsparteien können im gegenseitigen Einvernehmen Änderungen oder Ergänzungen dieses Durchführungsprotokolls vornehmen. Diese treten nach dem in Absatz 1 genannten Verfahren in Kraft.

(3) Dieses Durchführungsprotokoll tritt gleichzeitig mit dem Abkommen außer Kraft.

(4) Dieses Durchführungsprotokoll kann jederzeit aus wichtigem Grund auf diplomatischem Wege gekündigt werden. Die Kündigung wird am neunzigsten (90.) Tag nach dem Zugang der Kündigungsnote bei der anderen Vertragspartei wirksam.

Geschehen zu Berlin am 4.4.16 in zwei Urschriften, jede in deutscher und georgischer Sprache, wobei jeder Wortlaut gleichermaßen verbindlich ist.

Für die Regierung der
Bundesrepublik Deutschland

Michael Koch
Kerem Gönül

Für die Regierung von
Georgien

ფანჯი იტყვიანი

Anhang
zum Durchführungsprotokoll
zwischen der Regierung der Bundesrepublik Deutschland
und der Regierung von Georgien
zum Abkommen vom 22. November 2010
zwischen der Europäischen Union und Georgien
über die Rückübernahme von Personen mit unbefugtem Aufenthalt

Bundeswappen der Bundesrepublik
Deutschland

Staatswappen von
Georgien

Name der zuständigen Behörde der ersuchenden Vertragspartei

(Ort und Datum)

Referenznr.

An:

.....
.....
.....

(Name der zuständigen Behörde der ersuchten Vertragspartei)

FORMULAR ZUR ANKÜNDIGUNG DER RÜCKÜBERNAHME

nach Artikel 6 des Durchführungsprotokolls zwischen
der Regierung der Bundesrepublik Deutschland und der Regierung von Georgien
zur Umsetzung des Abkommens vom 22. November 2010 zwischen der
Europäischen Union und Georgien über die Rückübernahme von Personen mit unbefugtem
Aufenthalt.

INFORMATIONEN ZUR PERSON UND BEFÖRDERUNG

1. Name und Vorname (bitte Familienname unterstreichen):

.....

2. Geburtsdatum:

.....

3. Reisedokument, bitte genaue Angabe:

Nr. Gültig von bis (Tag/Monat/Jahr)

4. Verkehrsmittel (Flugzeug):

.....

5. Datum der Überstellung:

.....

6. Zeit der Überstellung:

.....

7. Ort der Überstellung (Grenzübergang):

.....

8. Angaben über besondere Pflegebedürfnisse oder erforderliche Betreuung:

.....

9. Begleitete Rückführung Ja Nein

Wenn ja, bitte genaue Angaben zum Begleitpersonal:

.....

.....

10. Zu organisierende Sicherheits- oder Schutzmaßnahmen am Ort der Überstellung:

.....

.....

(Unterschrift der befugten Person der zuständigen Behörde der ersuchenden
Vertragspartei)

(Siegel, Stempel)